

მაღალფუნქციური აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების სპეციფიური
კოგნიტური მახასიათებლები და შფოთვისითი გამოვლინებები

მარიამ ჟიჟიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქოლოგია (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია,
კლინიკური ფსიქოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

აბსტრაქტი

კოგნიტური მახასიათებლების სპეციფიურობა (გონების თეორიის დეფიციტი და სუსტი ცენტრალური დაკავშირებულობა) აუტიზმის შემთხვევაში პირველადი მადაგნოსტირებელი კრიტერიუმია, არანაკლებ მნიშვნელოვანია ისეთი ოპერაციონალური ფუნქციების დეფიციტი, როგორცაა: ენა, მეხსიერება, აღქმა და ყურადღება, აუტისტური სპექტრისათვის დამახასიათებელი სოციალური პრობლემების ახსნისათვის. ამ მხრივ ამ მხრივ სპეციფიურ შემთხვევას წარმოადგენენ მაღალფუნქციური აუტისტური სპექტრის მქონე (HFA) ბავშვები, რადგან მათ "კლასიკური" აუტიზმისაგან განსხვავებით არაქვთ პრობლემა ოპერაციონალურ ფუნქციებში, თუმცა გონების თეორიის დეფიციტურობა აფერხებს მათ წარმატებას სოციალურ ინტერაქციაში. აღნიშნულ კვლევა მიზნად ისახავს კოგნიტური მახასიათებლების სპეციფიურობისა და გართულებული სოციალური ურთიერთობების ფონზე განვითარებულ შფოთვით გამოვლინებებს შორის მიმართების დადგენას HFA ბავშვებში და განიხილავს ამ მიმართებას როგორც სოციალური ამოცანების გადაწყვეტაზე მიმართულ ერთიან სისტემას.

კვლევამ აჩვენა, რომ ტიპური ბავშვებისა და მაღალფუნქციური აუტისტების შფოთვის მაჩვენებლების განსხვავებას სანდოობა აქვს ზღვრული, რაც იმას ნიშნავს, რომ ცდის პირთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში შფოთვის მეტი ხარისხი მაღალფუნქციურ აუტისტებში ტიპურ თანატოლებთან შედარებით დადასტურდება. ეს ნიშნავს ემოციურ-რეგულაციული ძალების მობილიზაციას HFA ბავშვებში, ასაკობრივი მოთხოვნების შესაბამისად გართულებული სოციალური ამოცანების დასაძლევად, რაც საშუალებას იძლევა გაკეთდეს სპეციფიური რეკომენდაციები ჩარევის თვალსაზრისით მომავალში ადაპტაციური მექანიზმების გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად.

საკვანძო სიტყვები: გონების თეორია, სუსტი ცენტრალური დაკავშირებულობა, შფოთვა, მაღალფუნქციური აუტიზმი